ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №319814

ნომერი: AR173498

თარიღი : 15.08.2012

გაცემის თარიღი : 24.08.2012

გაცნობის თარიღი : 30.08.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, მრეწველობის სამინისტრორ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლეილა იმერლიშვილი პ/ნ 01017008469
- თბილისი მ.ზანდუკელის ქ. N 3

ნომენკლატურა :

- აშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა-ნაგებობები

მოქ.

ლეილა იმერლიშვილის 15.08.2012 წლის
#AR173498 განცხადების დაკმაყოფილებაზე
უარის თქმის შესახებ

2012 წლის 15 აგვისტოს ქ. თბილისის მერიის სსიპ _ თბილისის არქიტექტურის სამსახურს #AR173498 განცხადებით მომართა მოქალაქე ლეილა იმერლიშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, მრეწველობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მიმდებარედ, #01.19.13.001.005 მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ აშენებული შენობა-ნაგებობის ლეგალიზება, ~პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე~ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული ლეგალიზების წესის თანახმად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სამსახურმა შეისწავლა ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, მრეწველობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მიმდებარედ, #01.19.13.001.005 მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ აშენებული შენობა-ნაგებობის ლეგალიზებასთან დაკავშირებით ლეილა იმერლიშვილის მიერ 15.08.2012 წლის # AR173498 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები და მივიდა დასკვნამდე, რომ განმცხადებელს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ლეილა იმერლიშვილი წარმოადგენს შპს ,,მშვიდობა"-ს 100% წილის მფლობელს, ხოლო მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიერ გაცემული ამონაწერის შესაბამისად, შპს ,,მშვიდობა"-ს ერთპიროვნულ ხელმძღვანელ პირად დაფიქსირებულია მოქალაქე იმედი ზაქარეიშვილი.

სამსახურში არსებული აეროფოტოგადაღების მონაცემთა ბაზის შესაბამისად, არ დასტურდება ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, მრეწველობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მიმდებარედ, #01.19.13.001.005 მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო გეგმის შესაბამისად შენობების #8/1, #11/1, #12/1, და #13/1 2007 წლის პირველ იანვრამდე მშენებლობის დასრულების ფაქტობრივი გარემოება, აღნიშნული გარემობა კი ადმინისტრაციულ ორგანოსთვის ობიექტების ლეგალიზებაზე უარის თქმის ძირითად საფუძველს წარმოადგენს, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული ლეგალიზების წესის თანახმად, ლეგალიზებას ექვემდებარება 2007 წლის 1 იანვრამდე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტები ან მათი ნაწილები.

აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, მრეწველობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მიმდებარედ, #01.19.13.001.005 მიწის ნაკვეთი მდებარეობს ,,საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოთა განხორციელების მიზნით ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებეთა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის #104 განკარგულებით დადგენილ შეზღუდვის ზონაში, რომლის შესაბამისადაც აღნიშნული ნომარტიული აქტით განსაზღვრულ საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე საპროექტო გადაწყვეტილებებით დაგეგმილი სამუშაოების დასრულებამდე შეჩერებულია გზის ღერძიდან 100-მეტრიან ზოლში მიწების გასხვისება და გზისპირა ინფრასტუქტურის ობიექტების განთავსებაზე ნებართვების გაცემა, ამასთან საავტომობილო გზების პერსპექტიულ განვითარებასთან ერთად გზისპირა ზოლში ინფრასტრუქტურის სხვადასხვა სახის ობიექტების (დასასვენებელი ადგილები, საზოგადეობრივი კვების და სავაჭრო ობიექტები, ტექმომსახურეობისა და ავტოგასამართი სადგურები) განთავსების საკითხისა და მათი არქიტექტურულ-ესთეტიკური იერსახის განხილვა უნდა განხორციელდეს კომპლექსურად, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმართველობის შესაბამისი ორგანოების ერთობლივი შეთანხმების გზით.

დადგენილია, რომ ,,პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების 1 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის შესაბამისად, ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილებით ხდება ობიექტების ან მათი ნაწილების დაკანონება. ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას. ასევე ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის # 57 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით ხდება მშენებლობის ნებართვის გაცემა და შემდგომ მშენებლობა დამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება, აღნიშნულის გათვალისწინებით, ორივე შემთხვევაში სამართლებრივად საბოლოო შედეგი იდენტურია და ხდება ობიეტების ექსპლუატაციაში მიღება, ვარგისად აღიარება. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის #104 განკარგულებით დადგენილი შეზღუდვა ვრცელდება პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი

ნაწილების ლეგალიზების შემთხვევაშიც.

"პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულებით დამტკიცებული ლეგალიზების წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს ....~. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ, თუ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს"

ადმინისტრაციული ორგანო საქმეზე არსებითი მნიშვნელობის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, წარმოდგენილი საქმის მასალების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად გამოკვლევის შემდეგ თვლის, რომ განმცხადებელს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

1. არ დაკმაყოფილდეს მოქალაქე ლეილა იმერლიშვილის #AR173798 განცხადება;
2. უარი ეთქვას ლეილა იმერლიშვილს ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, მრეწველობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მიმდებარედ, #01.19.13.001.005 მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ აშენებული შენობა-ნაგებობების ლეგალიზებაზე;
3. აღნიშნული ეცნობოს ლეილა იმერლიშვილს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.